

# დღეიდან კორონავირუსის დადგენა საქართველოშიც იქნება შესაძლებელი



ახალი კორონავირუსის დადგენა დღეიდან საქართველოშიც იქნება შესაძლებელი. ქართულ მხარეს პარტნიორებთან უკვე ჰქონდა მოლაპარაკება, რის შედეგადაც გადაწყდა, რომ დუგარის დაბორატორია მიიღებს შესაბამის

ტესტებს, რომელთა საშუალებით, ახალი კორონავირუსის დიაგნოსტიკა საქართველოშიც გახდება შესაძლებელი.

დღემდე მოქმედი პრაქტიკით, პაციენტის ბიოლოგიურ მასადას ჯერ დუგარის დაბორატორიაში იკვრევდნენ, სადაც ხორციელებოდა გამოკვლევა რამდენიმე ათეულ ვირუსზე, რომელთა შორის, ახალი კორონავირუსი არ არის.

იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი მათგანი არ დადასტურდებოდა, მასადა საზღვარგარეთ არსებულ დაბორატორიაში იგზავნებოდა, რათა დადგენილიყო, შეიცავს თუ არა ის ახალ კორონავირუსს. ეს პროცედურა კი რამდენიმე დღეს გრძელდება.

უკვე დღეიდან კი ანალიზების უცხოეთში გაგზავნა საჭირო აღარ იქნება და ახალ კორონავირუსზე მასადა ადგილობრივ შემოწმდება, რაც დიაგნოზის სწრაფად დასმის საშუალებას იძლევა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი ამბობს, რომ საქართველოში ამ ეტაპზე კორონავირუსის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.